ფასი 10 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 16

1920 წ.
მარტის 7



ქართველი მხედარი. ისწ[?]ჯორი უთუოდ ინგლისელი უნდა იყოს. დავიჯერო, ჩემი შესვლა დააფეთებს და ტლინკებს დამაყრის? მოდი, ერთი ვნახოთ, რას გვეტყვის ეს გვირილის ყვავილი?.. შევიდე... არ შევიდე.. შევიდე... არ შევიდე... შე..,

თუთიყუშები.

სონეტი ნაპირებ-გადალახული.

(„შვილდოსანის“ პოეტებს.)

სარკმელი. ჩარჩო. ზედ გალია დაკიდებული.
შიგ სხედან მწკრივათ ერთის სახის, როგორც ტყუპნი, თუთიყუშები:
ერთი ნისკარტი. ერთი ფერი. ჭრელი ფრთა ყველას. და კიდე ბოლო.
თვალ-წითელები. ავხორცები. აზრ-მიხდილნი. ყველა მრუშები.

მშვენიერების ნაბიჭვარნი. მუზის ბუშები,—
იმეორებენ: აბდა-უბდას და ხათაბალას,—
გაზეპირებულს ერთ კილოზე, ვით ჰხამს ტიკინას და დედოფალას.
მინდა ვუყვირო: რას სჩადიხართ. კმარა. ნუ შვრებით.

სად გაგონილა ენის ადგმა ეგრე წვალებით.
რად არ მოგბეზრდათ მოსაწყენი ყველას ყალიბი...
მინდა ვუყვირო... მაგრამ ხმა მეტყვის იდუმალი: ნუ გსურს, ნუ, შებმა.

მაგათი ჯიში ასეთია. შესცვლი ვეროდეს:
დეე, უაზროთ იმეორონ სხვის სიტყვები თუთიყუშებმა,—
ვიდრე ჩვენს ბაღში იადონი მოჰფრინდებოდეს.

Una.

(თარგმანი)

პატარა ფელეტონი.

ზარი.

მატარებელი № 24 უკვე მზა-მზარეული სდგას თფილისის სადგურზე.

ხალხი რის ვაი-ვაგლახით ვაგონებში ჩალაგდა, სული მოიბრუნა და ზარის ხმას ელის.

— აბა, მშვიდობით ნიკო, ეუბნება ცოლი ქმარს: სადაც არის მატარებელი დაიძვრის, მე წავალ, შენ ჭკუით იყავი.

— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო კარგო.

სადგურის წინ მილიციონერების დიდი ფაცა ფუცია, გაშმაგებით დარბიან ხან ზევიდან ქვევით, ხან ქვევიდან ზევით.

— ნეტავ რა ამბავია? რისთვის იჭერენ ამდენ ხანს მატარებელს? უკმაყოფილოთ იკითხა ერთმა მგზავრმა.

— ვინ იცის, ჩემო ძმაო; იქნება ჯარს აგზავნიან სადმე. ახლანდელ მიზეზებს ვინ გაიგებს.

— ჯერ პირველი ზარიც არ ყოფილა.

— ნეტავ რა ამბავი უნდა იყოს?

მატარებელი უძრავათ იდგა, ხოლო რკინის გზის მილიცია გაშმაგებით დარბოდა სადგურის ბაქანზე. ხან ერთ ყუთს შეატრიალებდენ, ხან მეორეს, ხან კალათს ათვალიერებდენ, ხან ხურჯინს, ხან ჯიბეზე ატანდენ თვალს, რა არის, გამობერილი არ იყოსო.

— რა მოხდა, მეგობარო, —ჰკითხა ნიკომ შეშინებულ კონდუქტორს.

— მოიპარეს ბატონო...

— რა მოიპარეს, კაცო, რა?

— ზარი, ბატონო, სადგურის ზარი.

ვაგონში ყველას თავზარი დაეცა.

— კაცო, ზარს ვინ მოიპარავდა? იკითხა ერთმა მოხუცმა მღვდელმა.

— ქურდი, მამაო, ქურდი.

— მართლა... ქურდი რას არ იკადრებს... დაემოწმა მღვდელიც.

მატარებლის გაშვება ძლიერ გასაჭირი შეიქნა. გასინჯეს პირველი კლასის ბუფეტის ცარიელი სამოვარი, ხმა ცუდი დაურჩა. გამოიტანეს ქვაბები, არცერთი არ გამოდგა. მილიციის უფროსმა თავში ხელი შემოიკრა, მაგრამ ეს რას უშველიდა.

ხალხში მყისვე ჩვეულებისამებრ ათასნაირი ჭორი გავრცელდა.

— თურმე, წმინდა გიორგიმ ჩამოიარა, ნახა უბრალო სახლზე ზარი ეკიდა, გაჯავრდა, მოხსნა და ცაში გაიტაცაო, ამბობდა ერთი ხანში შესული ქალი.

— მე კი მითხრეს, ვითომ ქურდი გარეთ დარჩენლიყო, — დაიწყო მეორე მგზავრმა—მისულიყო ზართან, მთელი საათი ერეკა, მის ხმაზე არავინ გამოსულიყო, მოეხსნა და თან წაეღო.

ამ ლაპარაკის დროს სადგურის უბანში ყრუ გუგუნი გაისმა. ხალხი ვაგონში გაინაბა. ყველას

მიწისძვრა ეგონა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამ საშიშარ დროს ვაგონში ისხდენ. ნამდვილათ კი ორი ღონიერი მილიციონერი თოკზე გამოკიდულ რელსის ნაჭერს ჩაქუჩს ურტყამდა.

მატარებელი დაიძრა. ავეალაში მთელი ხალხი თფილისის სადგურის ზარის მოპარვაზე ლაპარაკობდა.

მცხეთაში ამბობდენ: მთელი სადგური გაჭქურდეს და ქურდები უგზო უკვლოდ მიიმალენო.

ქსანში დაბეჯითებით ამტკიცებდენ, რომ თფილისში რკინის გზის სადგური მოიპარეს და ქურდები ჯერაც ვერ აღმოუჩენიათო.

კავთისხევში ყველა დარწმუნებული იყო, რომ სადგურთან ერთად დეპოც და სახელოსნოებიც მოეპარათ.

რკინის გზის მილიცია ისმენდა ყველა ამას და სიცილით კვდებოდა.

მორიელი.

ცოლის შერთვამდის

ბულბულივით ყველა ხეზედ ვჯდებოდი
გაშლილ ვარდებს ტკბილ ვეალერსებოდი
ვით ფარვანა ტრფობით თავს ვევლებოდი
და სიამით გულში ჩავაკვდებოდი.

ცოლის შერთვის შემდეგ

ეხლა კი ვგრძნობ თავს ვირივით ბოსელში:
ერთ ბაგაზედ, ერთგვარსვე სამოსელში,
ჯავრისაგან ბოღმა მაწვება ყელში,
ამ კანონის დამდები მომცა ხელში,
გამოვაძრო ის ყანყრატო ჯიგრითა,
ამ წესს სდებდა რა აზრით, რა ფიქრითა?
ესე მოვკვდე, გავიხარო იქ—რითა?
კმარა ფიქრნო შორს-შორს ნულარ მიჰქრითა...

განჯის-კარელი.

ს ი ღ ნ ა ღ ი.

(თანამედროვე პოემა).

თავი პირველი.

ციხე სიმაგრის ხელშია გამაგრებულა სიღნაღი,
უშნოთ, უმზგავსათ ჩამჯდარა მთებში უცნობი ახმახი.
მას ვერ მიუვა ვერც მტერი, ვერცა კეთილის მსურველი
არსაით მოსჩანს სწორი გზა, ვაკე ადგილი და ველი.
ზღაპრულად საიდუმლოა, ზღაპრული სენით მოცული:
სძინავს სიღნაღს და მის მნახველს შეეხუთება მით სული.
სძინავთ მცხოვრებლებს, და მათთან სძინავთ ქალაქის მამათა;
ალბად აქ იშვა ის ჩვენთვის სასიქადულო „საღათა".
ობლად მოსჩანან სვეტები მუდამ ჩამქრალი ლამფებით
რომ აიცდინონ შაბლონი ხალხნი დადიან ფარნებით.
და რომ არ გაშრეს ქუჩები, ამუშავებენ წყალსადენს:
ნიაღვრათ მის წყალს უშვებენ და იშორებენ ზამთრის მტვერს.
ხალხიც მით კმაყოფილია, თუმცა არ ყოფნით მათ, წყალი.
მაგრამ არავინ არ არის სიღნაღში ისე საწყალი,
რომ სასმელადა კახური დაიკლონ მამა პაპური,
თუნდაც რომ აკლდეთ საჭმელად სიმინდის მჭადი და პური.
თუ რითა სცოცხლობს მშრომელი, რით ჰყვავის ყველა ხელობა
ეს არის ჩვენი სიმშვენე, ზღაპრული თვითმართველობა.
შიგ შუა გულში ჩაუკრავს სიღნაღსა მისი შენობა.
დარბაზში თითქოს ბინადრობს სულთა მხუთავი ობობა.
ობობა ყველგან ქსელს აბამს, მას არვინ უშლის შრომასა,
და ებრძვის განუწყვეტლად სიღნაღელ ბუზთა გროვასა.
მაგრამ ჩუ... ვიღაც გატოკდა... ალბათ სხვაც არის დარბაზში
მაგიდაზედა ტკბილადა მოხელე ტოკავს სიზმარში.
ვერ ხედავს ალბად საბრალო, მის გვერდზე რემინგტონზეა
ჩასძინებია მზე ქალას, ცხვირს არტყამს ასო-„დონ"-ზეა,
პირველ დარბაზსა გაივლით, შეხვალთ ქალაქის თავთანა.
სძინავთ ქალაქის მამებსა, ბალიში უდევთ თავთანა.
სძინავთ და სიზმრად ხედავენ: სიღნაღი ახლად შენდება
ქუჩებში ლაფის მაგიერ ყველგან ასფალტი ედება.

(გაგრძელება მეორე სიზმრის შემდეგ).

გ. ტევრიელი.

მცირე მოსაზრებანი დიდს საკითხზე.

(დასასრული)

ბატონებო! წერილი „თამადობის საქმეში საჭირო რეფორმათა შესახებ“ ისე გამიგრძელდა, როგორც დაპირება მეგობრისა, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინათ ათი გირვანქა შაქარი აღმითქვა. ამ წერილით მსურს მას ბოლო მოუღო. რათა უკანასკნელი ნაწილი ჩემი წერილისა მსურს ყველასათვის უფრო ხელმისაწვდენი იყოს, განვიზრახე მისი დასურათება.

თვით უძველეს დროიდან ადამიანს ერთობ აბრკოლებდა და ამძიმებდა საღი გონების ტვირთვა და იგი გაფაციცებით ეძებდა საშუალებებს ამ გონებრივი სიფხიზლის თავიდან მოსაშორებლად. უნდა ითქვას ადამის ტომთა სასახელოდ, რომ მისმა სხვა და სხვა შტომ თითქმის ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად გამონახა სხვა და სხვა საშუალებანი გონების დასაკარგავად.

ერთი უმთავრესი ამ საშუალებათაგანი, როგორც მოგეხსენებათ გახლავს ღვინო, რომლის აღტორობას ისტორია აკუთვნებს ებრაელთა პატრიარქ ნოეს.

როგორც მოგეხსენებათ ნოემ, კიდობანიდან გამოსვლისათანავე გააშენა არარატის ფერდობზე მშვენიერი ზვარი. ყურძნის წვენისაგან დაამზადა ჩინებული ღვინო, დაჯდა, დალია ლოთიანად და შემდეგ რა შეემთხვა თითოეულმა თქვენგანმა ჩინებულად იცის... ნოე დათვრა.

ვინც კარგათ იცნობს მეცნიერებას, მისთვის ცხადია, რომ მარტო ღვინის გამოგონება ვერ შეიქმნებოდა იმ მძლავრ საშუალებად, რომელსაც ეძიებდა კაცობრიობა. მეორე საკითხი, რომელიც ღვინის მოგონების შემდეგ მთელის თავისი სიგრძესიგანით უნდა წარმომდგარიყო კაცობრიობის წინაშე გახლდათ საკითხი „სასმისთა“ შესახებ. მართლაც რათ გინდა ღვინო, თუ არ მოგეპოვება ჭურჭელი, რომლითაც იგი დალიო. და აი პირველ ყოფილი ადამიანი ამ მიზნისთვის მიმართავს ყველაზე უბრალო საშუალებას: იგი ქვის ჩაქუჩით ჭკლავს თავის ბიძას; იმისი თავის ქალისაგან აკეთებს ჭურჭელს საკმაოდ მაგარსა და აგრეთვე საკმაოდ მოზრდილს, რომლითაც შეეჭცევა მათრობელა სასმელს.

მაგრამ მოგეხსენებათ ადამიანის წინსვლა შეუჩერებელია. ყოველ საჭიროების დროს ბიძის მოკვლა ცოტად-თუ ბევრად უხერხული გამოდგა. ესეც არ იყოს, დარვინის თეორიის მიხედვით, დიდ თავიანი ბიძები სრულიად მოისპო. გამრავლდა მხოლოდ ისეთი ბიძები, რომლის თავის ქალაში რამოდენიმე სათითე ღვინო თუ ჩადიოდა და ასეთი თავის ქალის გულისათვის ბიძის მოკვლა უბრალო დროს დაკარგვათ იქმნა მიჩნეული და ადამიანი ეკვეთა შინაურ პირუტყვებს, რომელთაც თავზე აღმოაჩნდათ ორი გრძელი და ფართო სასმისი, შემდეგში ყანწად წოდებული.

ამ ორ გამოგონებათა შეზავებისაგან წარმოსდგა ქეიფი და საფუძველი ჩაეყარა თამადობას. ერთი ამ ადრინდელ პრიმიტიულ ქეიფთაგანი გამოხატულია აქ ჩვენს სურათზე. პირველ ყოფილი ადამიანი გაცილებით უკეთეს პირობებში იყო ამ მხრივ, ვინაიდან სურსათის მხრივ ის თითქმის უზრუნველყოფილი იყო.

ქეიფის განვითარებამ წარმოშვა მშვენიერი ღმერთი ლოთობისა ბახუსი.

გერმანელთა მეფე სიმთვრალისა გამბრინიუსი.

და იდეალი ლოთი-ფოთი მოქეიფისა ფალსტაფი.

უნდა მოგახსენოთ, რომ სასმისთა განვითარება ხელი-ხელ ჩაკიდული მიისწრაფის პროგრესის გზაზე ქეიფის განვითარებასთან ერთათ, ხოლო ქეიფის განვითარება თავის თავად დამოკიდებულია სასმისის განვითარებაზე. თავის ქალისაგან ადამიანი გადავიდა ყანწებზე, ყანწებიდან კულაზე, თასებზე, აზარფეშებზე, ჯამებზე, ხელადებზე, ტაშტებზე, ქვაბებზე, ვანებზე, ბოჭკებზე და სხვ. და სხვ. საჭიროა აღინიშნოს, რომ მგოსნები და შეყვარებულნი ხშირად ხმარობენ სასმისად სატრფოთა ქოშებს, კალოშებს და სხვ.



ქეიფთა შორის პირველობა ეკუთვნის ქართულ ქეიფს საზოგადოთ, ხოლო

ქართულ ქეიფთა შორის განსაკუთრებით მომაჯადოებელია კახური ქეიფი, სადაც სასმისთა შეჯიბრება უმაღლეს წერტილს აღწევს.

ბავარელთა ქეიფი სასმისთა სივრცით თუმცა ქართულს არ ჩამოუვარდება, მაგრამ სასმელის მხრით ეს ხალხი ქართველებზე ბევრათ უფრო ჩამორჩენილი არიან, ვინაიდან ისინი სვამენ ლუდს.



სამაგიეროთ რუსული ქეიფი, ეგრედ წოდებული არაყით, უკვე ცნობილია მთელს ევროპაში და დასახულ მიზანს ყველაზე უფრო სწორათ ემსახურება.



ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც ხალხს არა აქვს შეგნებული მთელი სიმშვენიერე ლოთობისა, ამ საქმისათვის საჭირო რჩება ზოგიერთი ძალდატანებითი საშუალებები. ურჩსა და შეუგნებელ მოქალაქეს, რომელსაც სურს თავისი სიxიუტით ჩირქი მოსცხოს მთელ ერს, ან შეკრებულებას, ძალით ასხამენ ხოლმე თავის ულუფა ღვინოს მუცელში და მით პირნათლად გამოჰყავთ სამშობლოს წინაშე. ამ საშუალებას განსაკუთრებული ენერგიით მიმართავდენ სვანეთისა და ლეჩხუმის წარჩინებული პირნი.



იქ სადაც მოქალაქობრივი ღირსების შეგნება მაღალ საფეხურზე სდგას და ყოველმა მოქალაქემ იცის თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ძალდატანებას ადგილი არა აქვს და თითოეული მოქალაქე, როგორც უმანკო ბავშვი, ისე ასრულებს თავის მოვალეობას.

შედეგი ყოველი ქმეფისა სასურველია ასეთი იყოს, მაგრამ ძლიერ ხშირად, ატავიზმის მიხედვით, დღევანდელი ადამიანი უბრუნდება იმ დროს, როცა მოქალაქე იბრძოდა თავისი ბიძის თავის ქალასათვის, თუმცა თავის ქალა მას სრულიადაც აღარ ესაჭიროება.

სამაგიეროთ, გამოფხიზლების შემდეგ ის კვლავ მუხლს იდრეკს თავისი ღვთაების წინაშე და აღაფლენს გულმხურვალე ლოცვას.

დებულებანი. ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ მოვამზადეთ ნიადაგი, ხოლო ახლა გადავდივართ პირდაპირ საგანზე.

ჩვენი შეხედულობით თამადისათვის უნდა შემუშავებულ იქმნას ერთი გარკვეული წესრიგი, რომლითაც ის ვალდებულ იყოს ხელმძღვანელობისა. შეიძლება ეს წერილი შეტანილ იქნას ჩვენს მომავალ კონსტიტუციაში, თუ ეს უკანასკნელი ეღირსება როდისმე ქართველ ხალხს, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება უბრალო დეკრეტის სახითაც გამოიცეს.

მაშ ნება მიბოძეთ გადაგიშალოთ თვალწინ ჩემი გეგმა საჭირო რეფორმებისა.

პირველი სადღეგრძელო—თავისუფალი, დამოუკიდებელი, მშვენიერი და პატარა საქართველოს კეთილდღეობისათვის (სავალდებულოა).

მეორე სადღეგრძელო—მისი ბატონ-პატრონისა და კანონ მდებელი უმაღლესი მბრძანებლის დამფუძნებელი კრებისთვის (სავალდებულოა).

მესამე სადღეგრძელო—საქართველოს მთავრობის სადღეგრძელო. (ნაციონალ დემოკრატებისათვის არ არის სავალდებულო).

მეოთხე სადღეგრძელო—მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დღეგრძელობისათვის (სავალდებულოა ქალებისათვისაც).

მეხუთე სადღეგრძელო—ჩვენი რესპუბლიკის დარაჯთა: ჯარისა და სახალხო გვარდიის კეთილდღეობისათვის (სავალდებულოა).

შემდგომად ამისა მოდის ერობათა, ქალაქთა, კოოპერატივთა და პროფესიონალური კავშირები, წითელი ჯვარი, სენატი, მწერლობა, მხატვრობა, ქათალიკოზი (სავალდებულოა ნაციონალ დემოკრატებისათვის) საზოგადოება კახეთია, ახალი კლუბი, წერა-კითხვის გამ. საზოგადოება, სახელმწიფო თეატრი და შემდეგ კერძო პირები.

როგორც მოგეხსენებათ ძველ დროში ქეიფის ბოლო ხანს საკანში მყოფთაც გაიხსენებდენ, მაგრამ დღეს დღეობით მათ დიდ ყურადღებას არავინ აქცევს.

მე დაჟინებით მოვითხოვ ეს რიგი დაცული იქმნას არა მარტო სადღეგრძელოების წარმოთქმით, არამედ სასმისთა სიდიდის შეთანხმებითაც.



უებარი საშვალება ოფლის წინააღმდეგ.

მოდის ზაფხული და თან მოაქვს სიცხე და ოფლი! დღემდე კაცობრიობამ არ იცოდა ნამდვილი წამალი ოფლისა! ამიერიდან აღარ არის ოფლი!

ძირს შაგი! ძირს ყოველგვარი პუდრი! ძირს რეკლამეგით გაზვიადეგული ყველა წამალი ოფლისა!

გაუმარჯოს ყოველ თვიურ ჟურნალს „შვილდოსანს" და მის პოეტეგს!

„შვილდოსანის" ჰოეტები საოცარის სისწრაფით აშრობენ და სპობენ ოფლსა!

რეკლამა არ გეგონოთ: ფაქტია!

„მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიაგს!"

(„შვილდოსანი" № 2-3, გვ. 12 სტრიქონი 8.)

„შვილდოსანის" პოეტეგი აშროგენ ოფლს არა მარტო იღლიაში!

დეპეშები

ლანჩხუთი ქალაქის თვითმართველობა გადავიდა ახალ ბინაზე უწინდელ „ნაობახის“ შენობაში. იურისტების აზრით ეს ტაქტიკურ მოსაზრებით ჩაიდინა გამგეობამ, ვინაიდან, გამგეობის დატუსაღება რომ საჭირო შეიქნას (ჩვენს დროში არც გასაკვირია) ტუსაღებს ბინის გამოცვლა აღარ დასჭირდებათ და ეს გარემოება არც ისე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მოქალაქეებზე, როგორც ეს ურშაძის სახლის დაცლის დროს დაემართა გამგეობას.

ხუროთ-მოძღვარმა **ძრიელმა** დაამთავრა ქალაქის სასაკლაო, რომელიც ყასბების გეგმაზე ქალაქის შვაგულშია მოთავსებული და მთელ ქალაქზედ ვრცელდება ნოყიერი ნაკელით სარგებლობა, რასაკვირველია უფასოდ. აგრეთვე მეყასბეები ბაკსაც ველარ შეირჩენენ, რადგან საქონლის დაკვლა შვაქალაქში მოქალაქეთა თვალწინ ხდება.

ლაშის ღელის სამკითხველოს შენობა დაამთავრა ინჟინერმა **ალისტრახ ანტონიჩმა**. სამკითხველოს გამგეობამ გამოიწერა ყოველგვარი ჟურნალ გაზეთები და ევაჭრებიან ეგრეთვე დამფუძნებელ კრების განკ. კომისიას ნ. ნიკოლაძისეულ ბიბლიოთეკაზე. სამკითხველო მოქმედებას დაიწყებს ლაშის ღელის დაშრობისთანავე

ბუტუნა

ფოთი. არა ჩვეულებრივი თოვლითა და ყინვებით ნამდვილი რუსული ზამთარი დაიჭირა, რისთვისაც ქალაქი ისე მოუმზადებელი დარჩა, როგორც რუსული წესწყობილებიზა. („კომუნიზმიზა“) თოვლმა უფრო მეტ ხანს გასტანა ქალაქში ვინემ „კომუნიზზმა თუმცა თეთრი“ დათვები ვერც ამ რუსულმა ზამთარმა მოჰგვარა ფოთის დენიკინელ—კომუნის ბლოკს.

ადგილობრივმა ინტელიგენციამ დაარსა ახალი კულტურული საზოგადოება: **„ისევ და ისევ ღვინითა“**. წევრთათვის სავალდებულოა ქერმონიის ჭიქა პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად. კრებები სისტემატიურად ხდება „მაჭარაძის კლუბში“

ფოთის რკინის გზის „მოწინავეებმა“ გამართეს ჯგუფური ჭიდაობა. ფალავანებად გამოვიდნენ ერ. ცხადაია და შ. ბასკინჭილაძე, პირველმა მეორეს საკინძე შეაწყვიტა ჭიდაობის დროს, ხოლო მეორემ პირველს მეგ. შალვარის ლარი შეაწყვიტა. შალვარი ფეხებში გაებანდა და „დედის ხორცა“ მიწაზე გაიშხლართა. ჩემპიონი ცხადაია. ჭიდაობაზე დამსწრე ორგ. წარმომადგენელნი განცვიფრებული დარჩენ. ცხადაიას ჭიდაობის უფლება ახადეს

ბუტუნა

ბათუმის ამბები. „დიდი კოოპერატივის“ მაგალითმა სავსებით გამოაცალა ზოგიერთებს უსაფუძვლო მტკიცებას ნიადაგი, თითქო მოსამსახურეს, თუ მას აიძულებენ, არ შეეძლოს დღე და ღამეში 12—15 საათიც იმუშაოს.

რამდენიმე კვირაა, რაც ასოთ-ამწყობთა პროფ. კავშირის ბინაზე დიდი აურ-ზაური ხდება. ამბობენ იქ „ვირთხები“ გაჩენილანო. ერთი იმათგანი ხაზინადარის ყუთშიც ჩამძვრალა და ჯერ-ჯერობით მხოლოდ „პრიხოდო-რასხოდის“ წიგნი, ფულის ანგარიშები და რამდენიმე ათასი მანეთი კავშირის ფული ჩაუხრამუნებია. ზოგიერთების გადმოცემით, აღნიშნული ვირთხები კომუნისტურ მიმართულებას აღიარებენ.

ოხუნჯი

შორაპანი (დეპეშა ფოსტით) თუმცა გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, მაგრამ უკაცრავათ, თუ სიტყვა გამიგრძელდეს. გაცნობებთ: აქ მიიღეს ყოფილი განჯის „ნარიადჩიკი“ ტარასი ორჯონიკიძე; ზოგიერთების ეშვი, რომ ის პროლეტარია არ გამართლდა.—ის შეძლებული კაცია და მიიღეს იმიტომ, რომ სოფელში ყოფნა მოსწყენია. წამოყენებული ბრალდება-ძველათ ქრთამებს იღებდაო არ გამართლდა, რადგან გამოირკვა, რომ კონდუქტორებს თვითონ მიჰქონდათ როცა გასაჭირი ურჩებოდათ. პირიქით ვერ მოიყვანეს ისეთი მაგალითი, რომ მიეტანოთ: ინდოურ, ბატ-ქათაჭი, ღვინო, კვერცხი, ყველი, ხიზალალა და ტარასის იმათთვის საქმე არ გაეკეთებიოს. ფიზიკური ნაკლი, —სახელდობრ, რომ ტარასი ორივე ყურით ყრუ არის საპატიოთ სცენეს, რადგან მოძრაობის უფროსმა ამისთვის ახალი სახელი გამოიგონა: „Запасный агент без права дежурства“ ასე რომ ჯამაგირს მიიღებს, როგორც მორიგე აგენტი მხოლოდ ნება არ ექნება მორიგეობის და მაშასადამე სიყრუეც ვერაფერს დაუშლის. საზოგადოთ აქ, როგორც პროვინციაში, ჭორიკანაობა უყვართ. მაგალითად დეპოს კანტორის გამგეს ვ. სამხარაძესაც აბრალებდნენ ქურდობას და მექთამეობას, მაგრამ იმან წარმატებაც კი მიიღო და სამმართველოში გადავიდა; ეხლა კი ირკვევა, რომ ის თურმე დიდ საზოგადო საქმეს აკეთებდა: იპარავდა სახაზინო ნივთებს—ამით ნიკოლოზის მთავრობას აღარიბებდა, იღებდა ქრთამებს—ამით ხალხს უჯანყებდა. მე მოწინავე ამხანაგების მონდობილობით მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, რომლებიც ამისთანა უანგარო და რევოლიუციონურ მოღვაწეებს დახმარებას უწევენ.

მონდობილობით **კუწუწო საქარელი.**

თელავი იარაღ აყრილ მოქალაქეებს, თელავის ყასბებმა ჯერ ტყავი გააძვრეს, შემდეგში კი მთლად უხორცოთ გაუშვეს. დღეს ადმინისტრაცია იარაღის აყრით ემუქრება ყასბებს. თვითმარ. თველობა ნვიტრალიტეტს იცავს.

გიმნაზიის დირექტორს კლიმიაშვილს განზრახვა აქვს მომავალ წლისთვის გიმნაზიის შენობაში კარტის სათამაშო კურსები მოაწყოს, რომლის ხელმძღვანელათ მასწ. ედილაშვილი და გ. კიკვიძე იქნებიან მიწვეულნი.

კოოპერატივ „დახმერების“ გამგე ნაპალეონი მოუწოდებს წევრებს, საქონელი ჩქარა წაიღონ, რადგან მაღაზიაში დიდი ვირთაგვა გაჩენილა, რომელმაც აპასწინეთ კინაღამ თაფლის ბოჭკა არ გააცურა ყინულზე.

მიწის ძერის გამო.

თფილისი ვერ ვნახე ერთ წელზე მეტია...
(გურული, თუმცა ღა ყოველთვის ცეტია),
მარა ჩემს უსაზღვრო სიდინჯეს ამაში
მაძლევდა წინასწარ გრძნობების თამაში.
თფილისში ჩამოსვლით რაღაცა მელოდა,
თითქოს ეს ვიცოდი; მე აგი მჯეროდა,
მარა ვინ გაექცეს საეტლოს წერასა?
მოვშორდი დროებით*) მე ფოთის მზერასა,
ჩამოველ თფილისში თებერვლის ოცი
(შიშით, რომ ქალაქი მე დამიხოცი
ამაში მკითხველიც კი დამერწმუნება.
მიწყრება ეშმაკი, ღმერთი თუ „გუნება?“)
რადგანაც შორს ვიყავ სახლზე და შინაზე
ამხანაგ მიკიტას ვესტუმრე ბინაზე.
მესამე სართულზე ჩემ საუბედუროთ
(შაინძელს ამაში რათ უნდა ვემდუროთ?)
გავშალეთ ლოგინი ჩვენ აზიურათა,
თავბოლო შექცევით დავწევით ძმურათა.
თუმცა ჯერ შორს იყო ალიონ თენება
მე ვნახე საშინელ სიზმართა ჩვენება.
შიშისგან მღვიძარეს ადგომა მჭიროდა
ამ დროს კი ეზოში ხალხ ს ხმა ყვიროდა:
„ქვეყანა იქცევა გამოდით გარეთო
დიდო და პატარავ თავს მოეხმარეთო“
ავდექი. ვიხილე სახლების თამაში,
(თქვენ თუ გსურს მკითხველო დამძრახეთ ამაში)
მე ვჩქარობ ამ ჩემი ანდერძის წერასა,
მიწის ძრით ვშორდები სჩანს ქვეყნის მზერასა.
კვლავ გული ვერა სთმობს ჩემ ტურფა ზრახვასა
რა რიგათ ვჩქარობდი ბათუმის ნახვასა?
მოგიხმობთ ბურჟუებს და პროლეტარებსა
უჩემოდ მიადგეთ ბათუმის კარებსა.

დილა—20/II 3½ საათი. **ბუტუნა.**

*) ჯან ესე „დროება“ უვადო თუ გახდა და საქმე ეშმაკის უჩემოდ თუ წახდა?

ძმავ ქართველო

ვუძღვნი სამათრახო ქართველებს

მინდა გკითხო, მხოლოდ ვშიშობ...
ვაჰ თუ გასწყრე ძმავ ქართველო,
თორემ ესე შეგეხები
ეს ხელი და ეგ საყელო...
მოკლეთ მოვჭრათ უფრო კარგი,
მეტი აღარ გავაგრძელო...
მითხარ რითი შეგიძლიან
აღაყვავო საქართველო?

მხოლოდა გთხოვ ჩემი კითხვა
არ გეჯავროს არ გეწყინოს
მე მგონია კიდეც დასტკბე,
გულს ნეტარად მოგეფინოს
და მაშინ კი სხვა გვარ გკითხავ
თუ გულს ბოლმა მოგებჯინოს
თუ დაფიქრდი უკეთესი
რომ მით მტერმა არ დაგვცინოს.

ნუ თუ მხოლოდ კუჭს ემონვი
მარტო გასძღე ღორ-მუცელო,?
შანპანიურს შეექცე და
ყელი იმით ჩაისველო,
ორი სკამი მოიმართო
ორგან ბინა გაიბრტყელო,
მუცლის გამო დაგავიწყდეს
შენი დედა საქართველო?

არასოდეს არ შეგფერის
მაგისთანა საქციელი
რადგანაცა ამ დროისა
ვაჟ-კაცი ხარ და ქართველი.
თუ რომ მაგას არ მოიშლი
აჰა დანა და ეს ყელი
მოიგონე შენი ქვეყნის
მძმათა ძვლების საძირკველი.

მისთვის გაჩნდი ამ ქვეყანად,
ზურგის ქონი გაისქელო?!
ნახო მოძმე განსაცდელში
არ მიხედო, არ უშველო?
ჭირზე ჭირი მიუმატო,
თვალნი ცრემლით დაუსველო,
და ამ გვარი საქციელით
გსურს შეამკო საქართველო?

ქართველი ხარ, ქართულადვე
მოიქეცი როგორც გმართებს,
შენნი ძმანი ააცდინე
მტრის დაგებულ მახის ხლართებს,
მოვალე ხარ დაეხმარო
მტრის ხელთ ყოფილ დანაზავთებს,
მაშინ ვიტყვი: გრწამს სამშობლო,
ნაცვლები მის მთის კალთებს.

ძმა სინათლეს გეველროდეს
დაკინებით ჩაუხველო,
განათლების მაგიერათ
შენ მას უფრო დაუბნელო,
ენა სხვისით გაწბილო
გზა და კვალი აუჭრელო,
აბა მაგით როგორ შესძლებ
გაახარო საქართველო?
ქართველი ხარ და ქართველისა
მტკიცე უნდა გედგას სისხლი
შენსა მოძმეს გაუნათლე
მოაშორე ჯანყი, ნისლი,
შენი მოძმე ვეერდში გყავდეს,
არც მოშორდე, ნურც მოიცლი.
შენი ენაც მტკიცედ გწამდეს
სხვა ენებზედ ნუ გაიცვლი
ვცდილობ, ეგებ გამოკეთდე...
მოგეხმარო მეც გიშველო,
თუ რაცა ხარ ის იქნები
თავი რაღად გავიცხელო?
შენ საწველი წამიქციო
მე ვეწვალო მოვიწველო
ვინც სამშობლოს მგმობელი ხარ
საზიზღარო, საძაგელო,
როგორც ვატყობ ღირსიცა ხარ
ამ მათრახით აგაჭრელო.

ან განჯის კარელი.

თანამედროვე იავ-ნანა.

იავ-ნანა, ვარდო ნანა, ბროლ—ანდამატოვო,
დაიძინე, მომავალო სპეკულიანტოვო!
რომ იცოდე რა კარგ დროს გხვდა შენ დაბადებაო,
თავს არ გატკენს სამღრთო სჯული და „დაბადებაო“;
არც სხვა საგნები შეგაწყენს ეგრე რიგათ თავსო,
აბა ვის რათა სჭირია, ვიღა იკითხავსო.
ხალხი ჭამას დაეწაფა, სხვა სულ ფუჭიაო...
მბრძანებელი ახლა მხოლოდ მარტო კუჭიაო.
მოიმაგრებ თუ არა წელს, ჩემო მშვენიერო,
ბირჟისაკენ მიგითითებ შკოლის მაგიერო.
ან ვინმე ჩარჩს მიგაბარებ, კარგად გამოქნილსო,
ვინც აძვირებს სხვათა უკეთ შაქარსა და ფქვილსო,
რომ გასწავლოს ხალხის ყვლეფა, კარგათ დახელოო,
და ამით მეც მანეტარო და მასახელოო.
იავ-ნანა, ვარდო ნანა, ბროლ-ანდამატოო,
გენაცვალოს დედა, პაწა სპეკულიანტოო.

ნელი.

ს. ტეხ. სექცია და ბინ. დისტანცია.

(რკინიგზტონზე მომუშავე ქალის წუხილი)
ცხრაზე უკვე სამსახურში
მწარე განცდებს ვაძლევ ფიქრებს,
თერთმეტზე კი, გონს მოვდივარ,
როს უფროსი თითს დამიქნევს!
ვეწამები დილით ასე,
სკამზე ვზივარ ისევ სამზე,
ჩემი თავი უფროსის წინ
ვერას გზით ვერ დავაფასე.
ყოველ ადგილს შეწყდა შრომა,
ყველა მიდის წყნარაო სახლში,
უფროსი კი, ჯერ არ გვიშობს,
ახალ აზრებს სჭედავს თავში.
ჩემი აზრი მიდის კარში,
უფროსი კი კვლავ დავთარში,
აღარ გიკვირს ასეთ ტანჯვას
აგრე საღათ რომ გადავრჩი!?.
ღმერთო ჩემო, ოთხმა დაჰკრა!
მე კვლავ უკრავ რემინგტონზე,
საათი კი გზაში მინდა,
შევირყევი მგონი გონზე.
რა შევცოდე გამჩენს აგრე,
ამ უწყებას რაზედ სჯიან,
ფიქრებს თავში ვერ ვაკავებ
საგიჟისკენ ქრიან, ქრიან!..

სატანა.

მთავარი სახელოსნოები.

განცხადებების დაფა.

პირველი განცხადება. სასურსათო კომიტეტის დადგენილებით მთელი შტატი პურისმცხრობელთა გადაყენებულია. მათი მოვალეობა ეკისრება „ტარაკანთა“ შრომის რაზმებს, ვირთაგვების მოიჯარადრობით.

მეორე განცხადება. დეპეშა № 464, 23/II-19 წ. მთელ ხაზზე და სამმართველოში. განყოფილებათა უფროსებს. ჩემდამი მოღწეულ ცნობების თანახმად ზოგიერთ ადმინისტრატორებს მოჰყავთ სოფლებიდან ცოლი, დედა, ცოლის ძმები და ბიძაშვილი სამსახურში მისაღებათ. ბევრს მათგანს ინდაურების ჩამოყვანაც განუზრახავს კანტორებში სამსახურისათვის და საამისოთ ამზადებენ კიდეც მათ. როცა რესპუბლიკაში უმუშახელობით წარმოება შეფერხებულია, ადამიანების პირუტყვებით შეცვლა და ყველა ოჯახის წევრების შრომაში ჩათრევა მაგალითად უნდა ჩაითვალოს ყველა მოსამსახურეთათვის, რისთვისაც ზემოაღნიშნულ პირთ ღრმა მადლობას ვუცხადებ რკ.-გზის უწყების სახელით.

რკ.-გზის უფროსი **კანდელაკი.**

დედანთან სწორია, მთავარ სახელ. მწერალი **ოსიპჩუკ**

მესამე განცხადება რკინის გზის საავთომყოფოს დაბალ მოსამსახურეთა კრებამ ულტიმატუმის სახით

წარუდგინა ადმინისტრაციას შემდეგი მოთხოვნილებანი,

1. ოთხი საათის სამუშაო დღე,
2. ლეგალიზაცია მძიმე ავათმყოფთა ულუფის მითვისებისა,
3. განთავისუფლება პალატებში სისუფთავის დაცვისაგან.

კრების თავმჯდომარე **ულაპიაშვილი.**

ცუც!

ბინის პატრონის ქალი.

(შარჟი ერთ მოქმედებათ).

ძღვნათ მიტოს.

მოქმედნი პირნი:

ვახტანგ გაბრიელიძე
სანდრო } სტუდენტები

ოლიმპიადა ივანოვნა, ბინის პატრონის ქალი.
დაშა, მოსამსახურე.

მოქმედება სწარმოებს რუსეთის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ქალაქში.

ვახტანგის ოთახი.

(დასასრული).

გ.

ოლიმპიადა ივ. პატიოსანი ოჯახის შეურაცხყოფა!..

ვახტ. ნეტავი რით დავიმსახურე თქვენი რისხვა!

ოლიმპიადა ივ. თავხედობა გამიგონია, მაგრამ ასეთი?!. მოსამსახურე გოგოს გაარშიყებიხართ, გიკოცნიათ... ლოყა კინაღამ მოგიჭამიათ!. განა ეს ეკადრება პატიოსან ადამიანს?... სტუდენტს?!.

ვახტ. მაშ თქვენ ყველაფერი იცით? დაშამ გიამბოთ თავისი პირით?!

ოლმპიადა ივ. დიახ, დაშამ!

ვახტ. (მშვიდათ) მე ეს არ მიკვირს. ხეპრე გოგოსაგან მეტს რას უნდა მოელოდეს კაცი?. მონა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება თავისი გრძნობისა და ენის პატრონი... (შექმნილი მდგომარეობით ნაწყენი) მე სამწუხაროთ მაქვს მხოლოდ ის, რომ სისულელის გამო ჩვენ ასეთ პირობებში ვხდებით ერთმანეთს!. მე გაგებული მქონდა, რომ ჩემს ახალ ბინის პატრონს მშვენიერი ასული ჰყავდა... მე თქვენზე იმ თავითვე დიდი წარმოდგენის ვიყავი, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, მე თქვენ არასოდეს არ მინახიხართ. თქვენდამი პატივისცემისა და მორიდების გრძნობა იმ თავითვე ღრმათ ჩამეჭრა გულში, არ ვიცი კი, თუ რით შეიძლება აიხსნას ასეთი მოვლენა?— შეიძლება მართლაც არიან სადმე ბედის მწერლები!.. ასეა თუ ისე,—ფაქტი მაინც ფაქტია... რომ იცოდეთ— როგორი გულის ფანცქალით მოველოდი იმ ბედნიერ დღეს, როცა მე თქვენი ხილვის ღირსი გავხდებოდი! .. მაპატიეთ, თქვენი სახელი? (მოუხდოვდება).

ოლიმპიადა ივ. ოლიმპიადა ივანოვნა.

ვახტ. ძალიან სასიამოვნოა... ვახტანგ ფარნაოზის ძე გაბრიელიძე (ხელს ართმევს).. დაბრძანდით (სკამს მიაწვდის).

ოლიმპიადა ივ. არა მიშავს.

ვახტ. მართალი გითხრათ,— ეს ოთახი მიტოვ დავიჭირე, რომ თქვენი გაცნობისა და დაახლოვების საშულება მომცემოდა... თქვენი სილამაზის შესახებ მე ბევრი რამ მსმენია... დაბრძანდით.

(ჯდებიან)

ოლიმპიადა ივ. (თავშომწონეთ) ეხლა ხომ დაინახეთ, რომ მოტყუილებული ხართ?

ვახტ. როგორ?

ოლიმპიადა ივ. ისე.

ვახტ. პირიქით,— მე ეხლა დავრწმუნდი, რომ სრულ სიმართლეს მეუბნოდენ, როცა თქვენს თავს მიქებდენ.

ოლიმპიადა ივ. ეეეხ, რა ეშმაკები ხართ სტუდენტები!...

ვახტ. უმორჩილესათ გთხოვთ, რომ პირადათ მე შორს დამაყენოთ ასეთი შეხედულებისაგან! ჩემს გულ წრფელობაში ეჭვის შეტანაც კი ცოდვაა.

ოლიმ. ივ. (დიმილით) ვითომ?

ვახტ. მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვგრნობ და ვფიქრობ.

ოლიმ. ივ. კი, მაგრამ. (უშხიანათ) მე რომ ლამაზი არა ვარ?

ვახტ. ეგ ჩვენ გვკითხეთ.

ოლიმპიადა ივ. ძალიან შორს მოვლით ჰფიქრობთ, ბატონო ფონს გასვლას.

ვახტ. სრულებითაც არა. მე უკვე საკმაოთ დასველებული ვარ. ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ფონს აღარ ეძებს.

ოლიმპიადა ივ. ვითომ რაო?

ვახტ. ისა, რომ თავის მართლებაზე არც კი მინდა ვიფიქრო. დამნაშავეს მხოლოდ პატიება შეუძლია ითხოვოს, და მეც ამას ვითხოვ თქვენგან. დამიჯერეთ—სიკვდილამდე სანანლათ მრჩება ის თბილი ალერსი, რომელიც წუთიერი გატაცების დროს ვერაგულათ მომტაცა იმ მაცდურმა. მე ხომ ესეც მეყოფა სასჯელათ, ჩემო.. (მოუდოდნელათ დაიხრება და ხელზე აკოცებს).

ოლიმპიადა ივ. ეგ რა ჩაიდინეთ?.. ვინა ბგონიერართ?!

ვახტ. ჩემი ღმერთი, ჩემი ხატი! (ხელს დაუჭერს და გაშმაგებით ჰკოცნის).

ოლიმპიადა ივ. (წამოდგება და ხელის განთავისუფლებას სცდილობს) რას სჩადიხართ?! თავი დამანებეთ!..

ვახტ. (თავისკენ ეზიდება) ჩემო...

ოლიმპიადა ივ. რას სჩადიხართ?!. ვახტანგ ფარნაოზოვიჩ!.. ნუ შერცხვებით!... მე.. (ენების ადგილთან-დასთან აიტანს და ასთრთოდებს).. ვახტანგ ფარ-

ნაოზვიჩ!!.. ახ... (თავს ოდნავ გვერდზე კადხრის და თვალებს დანაბავს).

ვახტ. ჩემო ღვთაებავ! (გულში ჩაიკრავს და ტუჩებზე დაეკონება... შემოდის დაშა).

დ.

დაშა (თავისთვის) აი, კოცნაც ასეთი უნდა! (ხმა მადლა) ქალიშვილო, ქალბატონი გეძახით.

ოლიმპიადა ივ. (შემკრთალი) დაშა! (მოტრიალდება და გაიქცევა)

ვახტ. (უკმაყოფილოთ) დაშა, განა არ იცით, რომ კარებზე დაუკაკუნებლათ ოთახში შესვლა არ არის მიღებული?

დაშა. (დამცინავი დამიდიით) ვიცით, ბატონო სტუდენტო, ვიცით... (ნელა კადის).

ე.

ვახტ. რა დროს შემოვიდა ეგ ოხერი!

სანდროს ხმა: სტუდენტი სახლშია?

დაშას ხმა: სახლში გახლავთ.

(კარები კაიდება, და შემოვა სანდრო—წიგნებით ხელში).

ვ.

სანდრო. არ გრცხვენია?! რას მატყუილებდი თუ არ გინდოდა მოსვლა, გეთქვა, და მე მაინც ვიმეცადინებდი!. მთელი დღე შენს ლოდინში გავატარე!

ვახტ. მოსვლა როგორ არ მინდოდა, მაგრამ.. ნეტავი რომელ საათზე დაიწყება ხვალ გამოცდა?

სანდრო ათზე ან თერთმეტზე.

ვახტ. არაფერია, მოვასწრებთ! ამაღამ ცოტა წავათიოთ და...

სანდრო (გაწყვეტინებს) უსირცხვილო ხარ!

ვახტ. (დრეჭით) კარგი, თუ ღმერთი გწამს..

სანდრო წავიდეთ თუ აქ ვიმეცადინოთ?

ვახტ. რაღას მივდივართ?

სანდრო (დაჯდება და წიგნს კადაშლის). მოდი დაჯექი!

ვახტ. (ჯდება).

სანდრო (წიგნს ფურცლავს).

ვახტ. ცოტა ხანს შევისვენოთ, სანდრო.

სანდრო (გაკვირვებული) ჯერ ხომ კითხვა არ დაგვიწყია?!

ვახტ. კი, მაგრამ.. საშინელ დაღლილობას ვგრძნობ.

სანდრო. რა ოხრობამ დაგღალა?

ვახტ. მართლაც რომ ოხრობამ. მთელი სამი საათის განმავლობაში პარკში ვსდიე ერთ დედაკაცს. ოთახში დავბრუნდი და...

სანდრო. ბიჭო, ხუმრობა იქით იყოს, და ი შენი მოსამსახურე მართლა ლამაზი ყოფილა.

ვახტ. მაშ რა გეგონა? მაგრამ მე ეხლა მოსამსახურეებში აღარა მაქვს საქმე. უფრო ზევით მივწევ. დღეს უკვე სანახევროთ ავიღე ის მომხიბლავი ციხე, რომელსაც სტუდენტურ ენაზე ბინის პატრონის ქალს ეძახიან.

სანდრო. ჰო, ჰო!..

ვახტ. (მზაკრულათ იდიმება) გინდა მოგიყვე?...

(ფარდა) d

ფოსტა.

ჩოჩხოველს. შიშის ჟრუანტელმა შეიპყრო მთელი რედაქცია „ეშმაკის მათრახისა“ როცა თქვენს წერილს კითხულობდა:

„სოფ. გორდი ახლა იძინებს და ორ საუკუნემდის ვერ გამოიღვიძებს“ო; „ბიბლიოთეკა ეხლახან გარდაიცვალაო“; „ბანკი ანთებამ იმსხვერპლაო, „საავადმყოფო მიიცვალაო“, „სკოლებს ჭლექი გაუჩნდა“ და სხვა-და-სხვა. რამდენი სტრიქონია იმდენი საშიშარი ამბავი.

თავი მხოლოდ იმით ვინუგეშეთ, რომ თქვენში „ინტილიგენტებიც ავათ ყოფილან გონებით“.

რაჯაბოს. თქვენს ლექსში, „სიზმარში“, ერთი მშვენიერი კუპლეტია:

> თვალები ვსჭყიტე, ვნახე რომ
> ცოლი მუჯლუგუნს მირთავდა
> გულ დაღმა ვეგდე და მწარედ
> ოფლი თავ-ტანზე მღაფავდა“

თავ ტანზე თუ ოფლი გღაფავდა, ცოლი სადღა გირტყამდა ვერ გაგვიგია.

ილესრიხის. ვერ გავიგეთ.

მაჭვრეტის მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ გვეკითხებით: „რა საბუთებია საჭირო, რომ სამტრედიელ მოსამართლე ეროსლან არდიშვილზე ჩემი წერილი დაიბეჭდოსო“. ის საბუთები, ბატონო ჩემო, რომელსაც ეროსლან არდიშვილს მოვთხოვდით თქვენ შესახებ რომ ასეთი ბრალდებები წამოეყენებინა.

ხაფანგს. თქვენს წერილს სახელი და გვარი არ აწერია.

ირიდის თქვენ იწერებით:

> „დღით დანაღვრელ ოფლითა
> ყოველ ღამეს მთვრალი ვარ,
> აღარ მახსოვს ცოლ-შვილი
> ყირამალა დავდივარ.“

ბედნიერი ყოფილხართ, ვინაიდან ფეხებზე კალოშები აღარ დაგჭირდებათ.

გრიშა იმერელს. ჩვენ ძლიერ შეგვაშინა თქვენი ლექსის ორმა ტაეპმა:

> „ვსთქვი: აწი აღარ დავიწყებ
> ჯაბანას, ლექსისა თხუზვასა,
> აკვნესდა გული, აშფოთდა
> და ეკედრება მუზასა;
> მუზავ, გაიგე სიავე,
> რა რიგად გულსა შთენია

„ეშმაკმა“ ამითვალწუნა
პილო ჩემზე ხელია“.

ბ ჵი „ეშმაკი“ თქვენს ბრალდებას უარყოფს და დამნაშავეთ ქ-ნი მუზა გამოჰყავს. ის ამბობს: მე არ ამითვალწუნებია, არამედ მუზამ აითვალწუნა და დასამტკიცებლათ თქვენი ლექსის პირველი ტაეპი მოჰყავს.

ივანე ივანეს-ძე ივანიშვილს. ამდენი ივანეა და ერთი მართალს არ ამბობს.

დაიბეჭდა და დაურიგდა „განათლების“ აგენტებს გასაყიდათ
ან. ქუქისპირელის მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან
„ტყის ძმები“
საწყობი, წიგნის მაღაზია „განათლებაში“ ოლღას ქ. № 6.

სურათი-გამოცანა.



სახელმწიფო სტამბა.